



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მულხრა

მულხრა, მულხურა, მდინარე მესტიის მუნიციპალიტეტში, ენგურის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე – 27 კმ, აუზის ფართობი – 435 კმ². სათავეს იღებს სვანეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე, ტვიბერის მყინვარიდან. მდ. ენგურს ერთვის სოფ. კვანჭიანის მახლობლად. საზრდოობს მყინვარული, თოვლის ნაღნობი, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის აპრილიდან ოქტომბრამდე, წყალმცირობა – ოქტომბრიდან აპრილამდე, ნოემბრის ბოლოდან მარტის დასრულებამდე – ყინულნაპირისი და თოში.

ი. აფხაზავა
